

ხშირად დასმული კითხვები

1. თუკი მეცნიერი ან მეცნიერთა ჯგუფი თავად წარადგენს თავს ჯილდოს ნომინაციაზე იმოქმედებს თუ არა უარყოფითად განაცხადის შეფასებაზე?

არ იმოქმედებს. კონკურსის პირობების თანახმად, საკონკურსო განაცხადი შესაძლებელია წარადგინოს თავად ჯილდოს კანდიდატმა - მკვლევარმა. ასევე, შესაძლებელია საკონკურსო განაცხადი წარდგენილი იყოს (არაუმეტეს 3 კანდიდატურისა) საქართველოს ან/და ნებისმიერი სხვა ქვეყნის სამეცნიერო ცენტრის, ინსტიტუტის, უნივერსიტეტის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის, სახელმწიფო და კერძო სამეცნიერო დაწესებულების მიერ.

2. საკონკურსო განაცხადი ორივე (ინგლისურ და ქართულ ენებზე) ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი?

საკონკურსო დოკუმენტაციას ინგლისურ ენაზე ავსებს მხოლოდ ქართველოლოგიის დარგში მოღვაწე წლის საუკეთესო უცხოელი მეცნიერის ჯილდოზე წარდგენილი კანდიდატი. ხოლო დანარჩენ სხვა ჯილდოს ნომინაციაზე მხოლოდ განმცხადებლის პროფესიული ბიოგრაფია (დანართი 3) ივსება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

3. CV ფორმებში ცხრილში ჩამონათვალში 5 გრაფაა, ნიშნავს თუ არა ეს რომ მხოლოდ 5 ნაშრომი, 5 თანამდებობა, 5 პროექტი და ა.შ. თუ შეიძლება დამატება? ცხრილის აწერაში არაა მითითებული ლიმიტები.

გრაფები შეგიძლიათ დაამატოთ სურვილისამებრ. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში მხოლოდ წინა 3 წლის მანძილზე გაწეული სამეცნიერო აქტივობები უნდა მიეთითოს.

4. შესაძლებელია თუ არა 2017 წლის საუკეთესო სამეცნიერო კვლევით ჯგუფის ჯილდოს მოსაპოვებლად იგივე მეცნიერთა შემადგენლობამ წარადგინოს განაცხადი როგორც გასულ 2016 წელს?

რა თქმა უნდა შესაძლებელია.